ლიდერთა მატჩი ლენინგრადში

ლენინგრადი (ტელეფონით ჩვენი კორ.).

“ა” კლასის მეორე ეშელონში 18 სექტემბრისათვის ლიდერობდა ორი გუნდი: “ადმირალტეეცი” (ლენინგრადი) და “დინამო” (თბილისი). ამიტომ მათი მატჩი, რომელიც ამ დღეს შედგა ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე, საყოველთაო ყურადღების ცენტში იდგა.

შეხვედრამ მთლიანად გაამართლა მოლოდინი. მატჩი თავიდან ბოლომდე მიმდინარეობდა სწრაფ ტემპში, საინტერესოდ. ლენინგრადელებმა, თუმცა, ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისის “დინამოს”, მაინც განიცადეს დამარცხება და შეიძლება ითქვას კანონიერიც, ვინაიდან თბილისელები მათზე საგრძნობლად ძლიერები იყვნენ.

მართალია, “ადმირალტეეცს” ჰქონდა ძლიერი შეტევები, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა მეკარე კოტრიკაძეს, ცენტრალურ მცველს ჩოხელსა და მათ პარტნიორებს მთელი თავიანთი ხელოვნების გამოჩენა დასჭირდათ, რათა გადაერჩინათ კარი რამდენიმეჯერ შექმნილი რეალური ხიფათისაგან, მაგრამ საერთო უპირატესობა აშკარად თბილისელთა მხარეს იყო, რომლებიც მინიმალურ ანგარიშს _ 1:0 დასჯერდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ფორვარდებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე უაღრესად ხელსაყრელი მომენტი. ასეთი შესაძლებლობანი ჰქონდათ მესხს, კალოევს, მელაშვილს.

გოლი, რომელმაც თბილისელებს მოუტანა გამარჯვება, გაიტანა ბარქაიამ მესხის მოწოდებით პირველ ტაიმში _ 1:0.

თბილისის “დინამო” თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

“ლელო”, 20 სექტემბერი, 1960 წ.